

15



ოთხუბათი რანგის 2.

ფასი 15 კაპ. ჩირ.

1924 წ — № 1



ბ. ბერიძე.



ა. ტყვარელი.



კ. ხოსბი.



ვ. იაშვილი.



გ. გაბუნია.



გ. გუშია.



გ. გვიშვილი.

კოჩისპონდენტთა სპუკლაგოდ

- მეთური—გამარჯვების ზეიმი
- ფ. გომართელი—ორი იანვარი და ჩვენი თეატრი
- ს. შვალობიშვილი—ქართული დასის მოგზაურობა ქართლში
- ფ. მესხი—ორი იანვრის გახსენება
- ტ. რამიშვილი—სიყვარული საზღვართან, დრამა 3 მოქ.
- ნ. შიუკაშვილი—ქართული მეტყველება სათეატრო ინსტიტუტში
- ტერენტი გრანელი—ლოცვა გაფრენისათვის
- დ. კობიძე—გასვენება ღამეებით
- კოკი ებრაღიძე—პასტორალი
- კაიუს პელი—წამება ქვეთან
- ნ. გვანცალაძე—ვენერას თვალბი
- რეჟენ კალაძე—როგორი ხელოვნება გვჭირია
- ა. ეიხენვალდი—ოპერა „დაისის“ შესახებ
- მ. ხერხეულიძე—ჩვენი საფლავები
- არსენ ვადაკოტია—* ლექსი

მ უ შ ა - მ ვ ა რ ლ ა ბ ი

- შ. ნავთლუღელი—სურვილი
- იოსებ იმედაშვილი—დაიწყო მწერალი ქალი
- სახელოვნო ქრონიკა
- სურათები

I. „თეატრი და ცხოვრება“ თქვენი იარაღი ხელოვნების ყოველ დარგისა და ქვეყნის წინსვლის სამსახურისათვის.

II. სწერეთ მხოლოდ სიმართლე. ანგარიხით და პირადი ანგარიშით რედაქცია შეცდომისში არ შეიყვანოთ: იყავით მართალი, პირდაპირი და სამართლიანობის მოციქული.

III. ყურადღებით და სიყვარულთ მოვებარით ხელოვნებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ უანგარო მუშაკს.

IV. განსაკუთრებით აღნიშნე ყოველი ნაბიჯი სახალხო-სასოფლო თეატრის მუშაკთა და სახალხო სახლების ვითარება.

V. ყოველი ცნობა დაბა-სოფლისა, სახალხო თეატრთა და სერთოდ ხელოვანთა ცხოვრებიდან დაუყოვნებლივ მოაწოდეთ რედაქციას ყოველ კვირა.

VI. ხაზრეთ უღირსი არ აქვთ, შურისძიებით — ღირსეული არ დამაძვიროთ.

VII. ერთგულად ავრცელოთ ხალხში თქვენი ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ და მის საგამომცემლო ფონდის გაძლიერების ხელი შეუწყეთ.

VIII. სწერეთ ქალაქის ცალ მხარეზე, გარეკვეით და ნათლად.

1910 XIV **მიიღება ხელის მოწერა** XIV **1924**

წამიწადი მეთოთხმეტი

თეატრი და ცხოვრება

სათეატრო-სახელოვნო სურათებიანი ყოველკვირეული უპარტიო ჟურნალი იუმორისტული განყოფილებით

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მსაცვრთა, ქანდაკება, საზღვაოუზრთა ცხოვრება.

ჟურნალში დაიბეჭდება: წერილები, პიესები, ლექსები. მოთხრობები, სცენები, მინიატურები, სათეატრო-სამწიფეონბრო-სახელოვნო ქრონიკა ჩვენი და უცხოეთისა, რეცენზია-მიმოხილვანი, მოღვაწეთა სურათები, შარები და სხვა.

მონაწილეთაგან ცნობილი დამხატვრული და ახალგაზრდა ნიპიჩი მწერლები.

ფასი: წლიურად . . . 10 მან. ჩერ.
 ნახევარ წლით . . . 6 „
 თითო ნომერი . . . 15 კაპ. „

მოკითხეთ რკინის გზის კოსტებში და გაზეთის გამყიდველებთან.

მიიღება დაახტებლად განცხადებანი დაკლებულ ფასებში.

რედაქცია: თავისუფლების მოედანი, ყოფ. ქარვასლა თამაშვეისა, შიგნით მეორე სართულზე.

რედაქტორის პირისპირ ნახვა შეიძლება 11—12 ს. რედაქციაში.

რედაქტორი: **იოსებ იმედაშვილი.**

გამომცემელი: **ფშმი დაქრითა შრომის არტელი „ახალი წრე“.**



1910-1924

წელიწადი XIV

№ 1

ცხრი 15 კ. ჩრვ.

„თეატრი და ცხოვრება“

ყოველკვირეული ზურაო-მიანი ჟურნალი

რედაქციის დრ. ბნა: თავისუფლების მოედანი, ყუფ. თამაშების ქარვისლა, მეორე სართულზე № 606.

ფოსტით: ტფილისი, რედ. „თეატრი და ცხოვრება“

იოსებ იმედაშვილს.

თეატრი. პოეზია. მუსიკა მხატვრობა. კანდაკობა. საზოგადოებრივი ცხოვრება.

დაარსდა 1910 წ.

ორზაბათი, იანვარი 2

გამოცემა 1924 წ.

ი ა ნ ვ რ ი ს ა

დღეს ქართველი მსახიობი ზეი-მაზარაძის მობს და ამის მიზეზიც აქვს. დღევანდელი დღე კერძოდ ქართველი მსახიობისათვის და საზოგადოდ ქართველისათვის, არა ერთის მხრივია სასურველი:

იანვრის 2-ს (1855 წ.) ახიხდა ქართული თეატრის ფარდა.

იანვრის ორს (1910 წ.) გამოვიდა ჩვენი სათეატრო სახელოვანი ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“-ს პირველი ნომერი.

იანვრის ორი საქართველოს სახალხო განათლების კომისიარის შუამდგომლობით მთავრობამ **ქართველი მსახიობის დღესასწაულად** დააკანონა. ამავე დადგენილებით ორ იანვარს საქართველოში გამართულ წარმოდგენების შემოსავლის ნახევარი მსახიობთა კავშირისთვის უნდა ვაღირებდეს.

ამ დადგენილებით ბოლო უნდა მოეღოს ქართველი მსახიობის უფლებობასა და ნივთიერ კივიწროვებს.

იყო დრო, როცა ქართველი მსახიობი „კომედიანტიკად“ (დაცინვით), პამფლად-იყო მიჩნეული, საზოგადოების მეტხორცად... თითქო მსახიობად მარტო ის წყაღწოდებული წვიდიდა, ვინც ცხოვრების სხვა ასპარეზზე ფეხს ვერ მოიკიდებდა და უფლებდაყრილი მსახიობიც თავის საპატიო, მაგრამ ბევრჯერ გამოწრებულ ცხოვრებას ეიანაშრობით აჯავზივებდა.

სცენაზე მეფე—ცხოვრებაში გლახაკი,—მუდამ მეფე ღირი,—აი ქართველი მსახიობი წარსულში, დაწიხლო, მოქალაქეთა ყველა წრიდან გარიყულ.

ბენეფისსა და იუბილზე თუ დაუფენდენ ფიანდაზს, ისიც სათვალსიეროდ.

დღეს კი იგი უფლებამოსილი ქურუმია კანონით.

დიდა ეს მოვლენა. ქართველმა მსახიობმა გაიმარჯვა.

და ეს გარემოება უფრო დიდ მოვალეობას აკისრებს მას.

ქართველმა მსახიობმა ამიერიდან ჩვეულებრივის თავგამოდებით, ხელოვნების უანგარო სიყვარულით უნდა აღვიოს ის წმინდა ქურა, სადაც გიზგიზებს აღამიანთა მოღვების ურთიერთ სიყვარულსა და ამაღლების ცივცლი.

ამიერიდან ქართველი მსახიობი კიდევ უფრო მხნედ შეუდგება მშვენიერებისა და ტეშმარტების სამსახურს კაცთა საბედნიეროდ.

ქართველი მსახიობა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლის ბერკეტია, მთავარი ძარღვი, მისი ქურუმი—ახალი მოციქული.

ქართველმა მსახიობმა საუკუნის სამი მეოთხედი მანძილი დიდის ქაანწყევით გამოიარა,—გზა მისი ნარ-ეკლთი იყო მოუფენილი.

დღეიდან ვარიღა და ი ევიენება: სამკალ-სამულაო ფრიად დილია, საპატიო, საპაყო.

ქართულმა თეატრმა და მისმა ქურუმმა—მსახიობმა უნდა აღადგინოს, გააკაოს და ბრწყინვალე მომავლისკენ გეზი გაუკაფოს დღეს სულდაგრძობით, სასოწარკვეთილთ, თვალთა მძინარო.

ქართველმა მსახიობმა ხელოვნება ცხოვრებას უნდა გადააჯაპუოს, ცხოვრება ხელოვნების დაუკავშიროს და მით ხალხი ახალ ცხოვრებას აზიაროს.

ამიერიდან ხელოვნების ტაძარში აღარ უნდა იყენ კთაბეღენი, არამედ მართლმორწმუნენი. მისმა ხელოვნებამ ხალხის გულის გული, ყრუმურჯა სოფელი უნდა აამეტყველოს, გაადამიანოს, მზეს შეახედოს.

ჩვენი ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ როგორც დღემდე, დღეიდანაც საზოგადოებისა და ხალხის თანავარძობით განმეგებელი, მეძღვის-დაკვალად უანგაროდ ემსახურება ქართველ მსახიობთ და მის სამსხვერპლოს—ხელოვნების ტაძარს.

დიდება და ნეტარება სამშობლო სცენის გარდაცვლილ უანგარო მოღაწეოთ, გამარჯვება მის აწინდელ ზუმაო!

ჩვენი გულთაიდი სალოამი! ეამა ქართულ მსახიობს, მის ქეშმარიტ თანახორათ—სცენის ქურუმო,—

ეამა ქართველ მსახიობს! გაუმარჯოს მის მიზანსა და წინსვლას!

ყრი იანვარი და ჩვენი თეატრი

რა დანიშნულება აქვს თეატრს?
 არის ზოგჯერ ასეთი კითხვა კამათის დროს, გახეთქი, ყურნაღვი.
 ასეთი კითხვა თავისთავად შეცდომაა.
 თეატრისათვის არ არსებობს ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული მიზანი და დანიშნულება.

რატომ?
 პირველი იმიტომ, რომ მარადიული ამ ქვეყანაზე არაფერია.

მეორე იმიტომ, რომ თეატი არის ცოცხალი ნაწილი ცხოვრებისა და თუ ცხოვრებას უკან ჩამორჩა, უსათუოდ მივცდება.

ცხოვრება მუდამ მოძრაია, ის წინ მიდის ზოგჯერ ნელის ნაბიჯით, ზოგჯერ გაჩქარებით ზოგჯერ მიქანება, მიჰქრის.

მას თან მისდევს ადამიანის ფიქრი და გრძნობა. იცვლება ცხოვრება—იცვლება ადამიანიც, — ეს დღეს საანბნოდ ჰემშარიტება.

ამიტომ, ის რაც შეფერვბოდა ძველ ელლის ან რომაელს, დღევანდელ ევროპელს აღარ დაეკმაყოფილებს.

სხვადასხვა დროს სხვადასხვა არის ადამიანის შეხედულება, გეოგრაფია,—სხვა და სხვა არის და უნდა იყოს ამიტომ თეატრიც.

ის ზოგჯერ სკოლაა, ზოგჯერ ტრიბუნა, ზოგჯერ დამრიგებელი, აღმზრდელი, ზოგჯერ მებრძოლი; ზოგჯერ კი მშვენიერი სანახაობა, ესთეტიური გასართობი.

როდესაც საზოგადოება დაყოფილია სხვადასხვა კლასებად, თეატრმა რომ ერთი სახე ატაროს, შეუძლებელია.

კლასობრივი დაყოფა, შეგნება, გემოვნება, იღვალთ თეატრსაც ანაწილებს.

თეატრი ჩაისახა ჩვენში მაშინ, როდესაც ქართველი ერი დაუძღვრებულ იყო ეკონომიურად, სოციალურად და პოლიტიკურად ხომ—მკვდარი.

აუცილებელი იყო ერის აღდგენა, გამოცოცხლება.

ეს როლი იკისრა ჩვენმა ნორჩმა თეატრმა. რა იყო მიზეზი ერის დაქვეითებისა; დასწეულებმა?

მიზეზი გარეშე, მიზეზი შინაგანი. თავდაპირველად აუცილებელი იყო შინაგანი მიზეზის მოშორება, შვინდინდ გაჯანსაღება ქართველი ერისა.

ამისათვის კი საჭირო იყო გაშუქება, გამოშეწობა ყველა იმ ნაკლისა, რაც ერის სხეულს სწამაღებდა.

ჩვენმა თეატრმა ეს საქმე იკისრა.

ქართველ ადამიანს ერთი დიდი ღირსება აქვს: მას შეუძლია საკუთარ თავს განზე გაუდგეს. შორიდან შემოხედოს და მისი ნაკლი დამკინ.ვი სიცილის ანკესზე წამოგოს.

ეს ღირსება თან დაჰყვა ჩვენს თეატრს: იმან საჯაროდ სცენაზე გამოიტანა ჩვენი ეროვნული ნაკლი და დამკინავი სიცილი დააყარა მას.

მას აქეთ მოვლდებოდა და დვინთი ჩვენს საკუთარ თავს, დაეცინით და ეციანთ.

დაეცინით ერთად ერთი მიზნით—რომ გაესწორდეთ, ავმაღლდეთ.

სიცილი კი თავდება ამაღლებისად.

ამ სიცილში ზოგჯერ ცრემლებია, მწარე სევდა, ზოგჯერ—მადიანი ხითხითი, უღარდელიობა, ხოლო ის ყოველთვის კეთილშობილია, იმედია.

ორ იანვარს ღღესასწაულია ქართული თეატრის, ამ საუკეთესო ტაძრის, ჩვენი ერის განწმენდისა და ამაღლებისათვის.

ორ იანვარს ჩვენ უნდა გავიხედოთ უკან და მადლიერებით მოვიგონოთ ყველა ის ხუროთმოძღვარი, რომელთაც ააგეს ეს ტაძარი,—ყველა ის ქურუმნი, რომელნიც ამ ტაძარში ააღადგინდნენ ლოცვასა წმინდსა“ ჩვენი ერის საკეთილდღეოთ.

შეგნებული ერისთვის წყარსული, აწმყო და მომავალი ერთი მილიანი და განუყოველი მოვლენაა.

ჩვენ ისე უნდა ეცხოვრობდეთ წარსულში, როგორც აწმყოში და წარსულში ჩვენს მესსერებაში უნდა სცოცხლობდეს.

ამაშინ სიყვარული და პატივისცემა ერის წარსულსა.

ვისაც ეს არ გააჩნია, მას მომავალიც არა აქვს.

როდესაც ჩვენ აღეადგეთ მესსერებაში ჩვენი თეატრის წარსულს, ჩვენს წინაშე აღიმართებიან ერისთავი და ანტიონიო, უფრო ახლოს კი ცაგარელი.

ეს სამი პიროვნება—ჩვენთვის საკმაოდ დიდი —ბურჯია ჩვენი თეატრისა.

მათ დაანახეს ქართველ საზოგადოებას მისი სახე—სახე მრულე, ზღმურდლიანი; საზოგადოებამ დაინახა საკუთარი თავი და წასქდა სიცილი; ეს სიცილი იყო თავები მისი გასწორებისა და ამაღლებისა.

ძირს ძველი და დრომოქმული ცხოვრება, ჩვეულება, წინ—განახლებისაკენ, განათებისაკენ, აი რა გაასმოდა ამ სამეხსის საყვირიდან.

ნაკლი ჩვენი საზოგადოებისა. შეუგნებლობა, წოდებრივი ყოყოობა, ცრუმორწმუნეობა მათმა ნიჭმა გამოამხეტურა მოურიდებლად. პიროვნება დაჩაგრული წოდებისა, გლახობისა ამათ აიყვანეს ღირსეულ და საპატიო სიმაღლეზე და ამათ ერთი აღდგენას, გაჯანსაღებასა და გაერთიანებას საძირკველი ჩაუტარეს.

განსაკუთრებულის სიციველით უნდა ეგრძობოდ გულხარობის, ზურაბის და ასისის დეაწლს დღევანდელ დღეს და მათდამი განსაკუთრებული პატივისცემით იყებოდეს ჩვენი გული.

ივ. გომარაძელი.

ქართული დანის მოგზაურობა ქართლში


(მცირე რამ მოგონება)

გიორგი ერისთავის შემდეგ ქართულს თეატრს თითქო შუქი ჩაუქრა, მხოლოდ სამოციან - სამოცდა ათიან წლებში შესდგა მოყვარულთა წრე, რომელიც კანტრუქუნტად მართავდა წარმოდგენებს სხვადასხვა ექრძო სახლებში.

ეს მოყვარულთა წრე შესდგა ანტონ ფურცელაძის თაოსნობით; დასში იყვნენ ქალთავან: ელენე ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანის შვილი, ბაბო ხერხეულიძე, მამო ყიფიანი, ოღლა ყაზბეგი, ელენე ანტროპისკია, კაცთავან — პოლიევქტო ბაქრაძე, კოტე ყიფიანი, დათიკო აბულაძე, ნიკო ავალიშვილი, სოსიკო თარხნიშვილი (ე.ე. გაბაშვილის ძმა) და სემენარიის მოწაფენი, რომელიც ჩემბაი იღებდნენ მონაწილეობას — იასონ ნათაძე, სოსიკო ბაქრაძე (პოეტი), სვიმონ ნათაძე, შიო შიუკაშვილი და მე; ამ სტრუქტურების დამწერი; ამ წრემ გააღვიძა ქართველ საზოგადოებაში თეატრისადმი სიყვარული. მოყვარულთა წარმოდგენები ავსებით იცემბოდა, ბილეთების შოვნა აღარ იყო ხოლმე.

ასე იღონდა ქართლის საქმემ სამოცდაათიან წლების მიწურულამდე. აი დაუფავ განთიადი; სამშობლის გაც-

რეცილ ცაზე აღმოაწყინდა მთელი გუნდი სამშობლო თეატრის დაფუძნებით: ილია, აკაკი, დიმიტრი ყიფიანი, ნ. ავალიშვილი, გ. თუმანიშვილი, ა. სარაჯიშვილი, ივ. მაჩაბელი (შემდეგ — ში), სოსიკო ბაქრაძე. ამ გუნდმა მოჭენა სამშობლო ქვეყანას ნათელ ქემშირტებისა, გულს ნუგეში სცა სამშობლო თეატრის კვლავ განახლებისათვის. ქართველი საზოგადოება ჩვენის ქვეყნის ყოველის კუთხისა ქართული თეატრის კვლავ აღდგენამ ზეილიტაცა, გაცხოველდა მისი მაჯისცემა. დაუდგა თეატრს გაზაფხული, გულს იმედა დაგვესახა. საქართველოს თვლი და გული ტუილისისა-კენ იყო მიპყრობილი. პროვინციელები გულის ფანტკალით მოველოდით ვაზეულებს, რომ ახალი დასის შესახებ რეცნუიები წაგვეციოხნა.



უფრო გულის ფანტკალით მოველოდით ი შემთხვევას, ახალი დასი ღირსად გახდოდა თუ არა პროვინციას თვისი გამოსჯინებით ზაფხულში. ამა-საც მოვესწარი: 1879 წლის ზაფხულშივე მოვიდა გორს დავით ერისთავი, რომელიც მაშინ ხელმძღვანელობდა თეატრს, რომელმაც ქართულს სცენას შესძინა ნატო ვაბუნიან-ცაგარელი. მან გორში დაიქირავა არტისტებისათვის ოთახები დიდს ქუჩაზე, ზუბიევის სახლებში; გამოიკრა ქუჩებზე აფიშები. ჩვენ, მოყვარულთა წრეს, უკვე გვეჩინა კარგა მოზრდილი (დარბაზი ქალაქის ბაღის როტონდაში, მდ. მტკვრის პირად, საიზიფარეშოებით მოწყობილი.

მთელი ინტელიგენცია გორისა—ქალი თუ კაცი შეიკრიბა გორის საღვურის ვეზალზე სასურველი სტუმრების დასახელებად.

გაჩერდა მატარებელი, კველანი ვეყელულობით, კველა ცდილობს, ვინ უფრო დინახოს სასურველი სტუმრები. ყველას გულა გვიუნაქტლებს. აი ჩამოვიდნენ ვაგონიდან წვეულ წვეილი: მაკო და ვასო (ვაგონისა და ამაშიმე), ნატო და სიკო (ვაგონისა და კავარელი), კოტე ყიფიანი, ზალიკო მაჩაბელი, დამა ჩუბინიშვილი. შემოვიყვებინეთ სტუმრებს და საითთაოდ დავიტაკეთო ოჯახებში, მხოლოდ ბარგი მივიტანეთ ზუბიევის სახლში, სადაც ზოგიერთნი დამით იძინებდნენ. ყოველ დღე ნაღიმები, „უსაზღვრო სიხანაული, სიამოვნება, გატაცება!“

მაკო და ვასო, ნატო და სიკო არმოიყობდნენ, ერთმანეთს ეკუთვრებოდნენ. გორში ჩაიყარა სახარკველი ამ წვეილების შეერთებისა: ნიჭმა ნიჭი გამოჩინა, ტოლმა ტოლი, ვულმა გული იგრძნო და შეიტკბო ურთიერთი.

ორი დღე იყო წარმოდგენა; წარმოადგენეს „პეპო“, ვოდევილი „ბუნელ ოთახში“, აგაკრა“, „ხათაბაო“ და სხვ.

ვისაც პირველ ხანებში არ უნახავს სენაზე მაკო და ვასო, ნატო და ვასი, ასიკო კინტოს როლში, ამკამად ვერ წარმოიდგენს, რა საუცხოო რეჟისორები, ნეტარების აღმძვარენი იყვნენ მაკო და ნატო! ორთავ შეატანისა, მკვირივი ავეზულებისა, ცოცხალი, ცქირალიანი, ძუფუნა და ეშხით სავსე შავი თვალეზით, სპეტაკის შუბლით, ამასთან მკაფიო მეტყველება, დიმილით დაპარაკი! დამატყვევებელი იყო კაცის ხარბი გულისა!.. მაკო, ნატო, ვასო სცენის ომერთები იყვნენ. როტონდის დარბაზი გრგინავდა ტანით, ვაშს ძახილით!

„ბნელ ოთახს“ მე ვკარნახობდი. ისე გამოიტაცა მაკოს თამაშმა, რომ კარნახობდა დამაფიწყდა, სრულიად გამოეცნა და პარლია შევსტყროდი ახალგაზრდა ომერთ სცენისას. კულისებიდან წამომძახეს: „რას გაუმტყვებულხარ, რებოლიკა მიეციო!“

სიე, პირველად ახალი დამი ეწვია გორს, რომელსაც ისე აღტაცებით მიიღო, ისე დააჟრმავარა დასი, რომ მუდამ წელს გორის სტუმარი იყო. გორიდან დასი, გორის სცენის მოყვარულთა თანამშრომლობით, მიიღოდა სხონვალს, ქარვლს, ხაშურს, სურამს და ბორჯომს. სასაოაოენო იყო ქართლი: მტკვრის პირას, ფართო მოედანზე იდგა დიდ ბის სარაია, ამ ზინდორზე მითიდან ჩამოქორდი აკარგა მოზრდილი ტოტები ნაქვისა, ფიქვისა. სოქისა, ჩარგამდენ წყობისად და გაკეთდებოდა მშვენიერი ბაღი, ალაგ-ალაგ სკამებით გაწყობილი, სადაც წარმოდგენის შემდეგ იმართებოდა ნადიმი მაკინე ამირაჯიანის თაოსნობით, აქ გაიგონებდით ნამეგობის სიმღერებს: ცოცხაანთ „მრავალ-ჟამიერს“, „შეკრა წითლის“, „ყურთაის“, „ხაბუროს“ და „ჩოგუროს“.

მასხოსე ერთი ამბავი: 1881 წელს, მაისის გასულს გვეწვია დასი. საზნეული დიდი წყლობაა, მტკვრის ხის ხილი ზანზარებს, ტვირთიან ეტლებს აღარ უშეგებენ, ვასო ამაშიმეს ველით. ადგენენ „ხათაბაოლს“ და „რაკ გინახავს, ვიღარ ნახავს“. საღამოს მატარებელით მოვიდა ვასო. არ ვაუკლია ერთს სათს. რომ გორ ს ხილი წყალმა შეუზო გაგლიჯა.

დაიწყო კოცისპირული წვიმები, დასი დარჩა გორში. განჩნდა დაუსრულებელი პურობა, ქეიფი, მზიარულობა!.. ყველას კარი ღია იყო ძვირფასი სტუმრებისათვის, მათთვის არავის არა შურდარა. დასის გორიდან წასვლა რკინის გზით არ შეიძლებოდა. შევებით სამენ ურკემ, დავალავით ბარგი, ჩახსით ჩვენი ძვირფასი სტუმრები ურემში და კასპას საღვურზე გაისტუმრეთ ტირიფონის გზით. კარგი დრო იყო: ინტელიგენცია აღმძვარელი, დამუნებელი გულის ამამოძრავებელი, სულის აღმადურთოვნებელი, დარდების დამაიწყებელი. მომავლის გამაჩირადლებელი!!

დილი! კარვ იყო!..

აკი ოქროს ასოებითაც აღიბეჭდა იგი ყოველი პატოისანი ქართველის გულში!

სოფრომ მაგალობლიშვილი.

ორ ჩანვრის გახსენება



ი. მ. მ.
სცენაზე გამოვიდა
1882 წ. 40 წ. ოქტობრულ
ბიულეტენში
1922 წ.

ძველი მსახიობები მხოლოდ წარსულის მოგონებებს ვიცოცხლებით და გვახარებს აწყო. ქართული თეატრის დღევანდელ დღესასწაულზე მინდა აღვადგინო ჩემს სხონვანში ის დრო, როდესაც ჩემს უფროს ამხანაგებთან ერთად ქართულ თეატრში ჩვენი ვადიანსაშულობით ქართული თეატრის დაარსების დღეს.

პეტრე უმიკაშვილის პატარა, ერთ მოქმედებითი სანახაობა „სამზადისი“. ეს იყო ცოცხლად აღიბეჭდილი სცენა 51-52 წელიან მალა საზოგადოებისა.

გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, ვახტანგ ორბელიანი, ალ. ჭავჭავაძე, პლატონ იოსელიანი, ქეთევან ორბელიანისა, ვაგარინისა და სხვა მრავალნი თივადნი, მათი მეუღლენი და ქალები დროს ვასტარებულად, წარმოსადგენად ამზადებენ გ. ერისთავის ახლად დაწერილ პიესას „გაკარს“.

და აი ამ პიესის იმ დროინდელი რეპერტეიკი, რომელსაც რეისორობს თვით ავტორი პიესისა—გ. ერისთავი—ცოცხლად დასტურათა პეტრე უმიკაშვილმა.

ჩვენც ეს „სამზადისი“ მოგობაზედ და დავანახვით ჩვენს უკვე დიდს მანძილთ წინ წასულს, ბევრად უფრო გათვითცნობიერებულს საზოგადოებას, თუ 50-იან წლებში პირველად როგორ ამზადებ-

დენ ქართულ წარმოდგენას, როგორ ირთობდენ თავს ქაშინდელი თევადები. პიესაში საუცხოვით არის დასურათებული გ. ერისთავის რეჟისორობა. რეპეტორი უნდა დაესწროს მთავარმართებელი გორნოკოვი და ყველანი დიდ მღელვარებას განიცდიან. პლ. იოსელიანი უსწორებს ენას გიორგი ერისთავს, ილია ცხარობს, რომ დაიწუნეს მსახიობათა და გიორგიმ როლი არ მისცა; რეპეტორიას ხელს უშლის შენიშვნებით და დაცინეით. დიმ. ყიფიანი ერთობ ბოხი ხმით ლაპარაკობს და სიტყვებს ნახევრად ყლაპავს; ქეთევან ორბელიანისას, რომელმაც უნდა განასახიფროს თათვალას როლი, სცვენიან ზოგიერთ სიტყვების წარმოთქმისა და სთხოვს გიორგის შეასწოროს, გიორგი არა სთანხმდება, დაობენ. რუსეთუმე ვერ არის კარგი ლექსების წამოთხველი; გიორგი ერისთავი ასწავლას, როგორ უნდა წარმოთქმას, თითონ დაიწყებს კითხვას, გაისინებს ახლად გარდაცვალბულ ნიკო ბარათაშვილს, მის „მერანს“ — დაღონდება. კარვია ცოცხალი სურათი, იმ დროს დამახასიათებელი.

ჩვენი მსახიობები თურმე ძალიან ჰკვანდენ მაშინდელ მსახიობებს და ამ პატარა სცენამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე, მოეწონათ და რამდენჯერმე გავგაუმორებინეს.

51-52 წლის შემთხვევითი, დროს გასატარებელ წარმოდგენას, რასაკვირველია, არა ჰქონდა ხა-

ლხისათვის აღმზრდრობითი მნიშვნელობა, რადგან ეს არ იყო სახალხო საქმე.

აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ამ დროიდან იწყება მოთხოვნები ეროვნულ წარმოდგენებისა; ამ მხრივ არის საიდენტსაწულო 1851 წ. 2 იანვარი — როდესაც პირველად დაიდგა ქართული წარმოდგენა.

მას შემდეგ რამდენათ გაიზარდა, განვითარდა ქართული თეატრი, რომელსაც თან მიჰყვა აფლიტორია. თანდათანობით როგორ იცვალა ფერი, ზნე, ხასიათი და როგორია ამ ეამად, ამას თვით ხედავს ჩვენი საზოგადოება. წარსულის, ბევრს ვერა გაუვიარა ეხლანდელ რეპერტუარისა. ამბობენ, კოტე მარჯანიშვილმა ძიებაში ერთი საუკუნისა წინ გაუსწრო თეატრალურ ხელოვნებასაო. შეიძლება ვერცე იყოს.

ყოველ შემთხვევაში მე ვხარობ და ვამაყობ, რომ ჩვენმა პატარა ეროვნულმა ხელოვნებამ გამოიღო ისეთი ჯანსაღი და ორიგინალური ნაყოფი, როგორიც ქ მარჯანიშვილია ამ დიდ სათეატრო ხელოვნების ოკეანეში, რომელსაც ეხლა ჩვენა გვხვდავთ, კ. მარჯანიშვილმა სთქვა ახალი სიტყვა, მან გააქეთა ახალი საქმე და ამ ახალი სიტყვის მოქმედი, ახალი საქმის გამკეთებელი არის ჩვენი ეროვნული თეატრის ნაყოფი. როგორ იღუფერს მიიღებს ხელოვნება მომავალში, ეს ვინ უწყის!

ვ. ფ. მესხი.

ტრ. რამიშვილი.

სიყვარულის საზღვართან

პიესა სამ მოქმედებათ.

მოთქმადია მთოიძე*).

ილიშ. ნულარ მკითხავეთ ჩემი ზეფიროვით ნახი და თეატროვანი მეუღლე, თვისი ეზნით ფურროს ახდენს მთელს იმ არე-მარეში მიუხედავით ფეხმძიმეობისა, ამას წინეთ ცოტას გაწყდა, კინლამ წამართვა ერთმა ატროკუნულმა სოფლის დონ-ჟუანმა, გვარად შეტაბერიძემე. ოი, შეატრეს იმას ეშმაკი და ქაჯი. ლამაზი ცოლის ქმარი, — მუღამ სხვგან დათარეშობს და ისეთ ამბებშია, რომ თქვენს მიოწონებელი! ცოლა არ იყოს, გუნებაში შემეშინდა, ვიფიქრე: ერთიც ვნახოთ გაუწყრა ჩემი გამწენი და მართლა უბრუნის გული მეტიე. მოგოვონთ ფაესტიდან შეფის-ტოფელის სიტყვები: „დედაკაცი რომ ატყდება, ლმერთიც მაშინ გაუწყრებაო“. რომ გერაფრით მოვიფორე, მოვიგონე ხერხი და ჩავსვი კვამში: ერთხელ კანდრაკის თამაშობის დროს, სიტყვა ჩაუფიქარი! იგინიდან ჩვენ ერთ-

მანეთის ცოლებს ცეცარობთ, მოდი ბარემ გავცკალოთ მეტიე“. ეს ვუთხარი თუ არა, ისეყოლა და ჰერი, ბიჭო! კიბეზე ჩარბენისას თაფზე ვადახტა ჩვენი სოფლის მთავარდიაკონს, ეზოში თავი მიახალა კანდრის ხეს, ფეხი ჩაქპა გოგირლით სავსე ვაბში, გადაახტა მალალ ლობეს, ჩავარდა თხრილში და ფეხი მოიტება; თურმე იმდენად შეშინებია, რომ ამბობენ: გადასახებას აპირებს რაკაშიო. (ელოხიდას) მაშ მიდღეფართ ბერიკოში. გავემზავრებით ზგე, საღამოს მატარებლით და მზუგე დლით ჩვენსა მოვადენთ ბრავჯანს. წარმოდგენილი მიქვს როგორ გაუხარებია ყველას, ისე მოგვივით, რომ ციფნიავს არ მოვაკარებთ. რა გინდა სული და გულიო ჩვენი მხრიალას თევზები: ფრიტა, წვერა და კალმხი. რძე: ჩიტისა, ფურისა, და სხვა პატეცემულ რქიან და ურქო პირფტყვთა, საშველებში ვიცო ყველაზე ძლიერ მოგვეწონებათ ფრანგულად მოხარკული ზაყაყი, ნამდელიო მწყერია.

მერ. (შუა კარებიდან შემოდის და შედის ვახტანგთან მარჯვნივ კარებში).

ხალ. (გაეკრთოლებს).

ილია. (თავს დაბლა დაბრის და თვალზე ხელმს მიფარებს).

* იხ. „თეატრი და ცხოვრება“ 1923 წ. № 1, 2 და 3.

ს ა ს უ გ ა რ ი

სახელმწიფო სათეატრო ინსტიტუტის და პროლიტკულტის დრამ. სტუდიის მასწავლებელი-ლიტერატორ ნ. შუქაშვილიანი.



დრამატურგი ნიკ. შუქაშვილი. ახელმწიფო სათეატრო ინსტიტუტის და პროლიტკულტის დრამ. სტუდიის მასწავლებელი-ლიტერატორი.

სტუდიის მასწავლებლებს ერთგვარ პრეტენციოზობასაც კი ვწმებდით. ყოველი ეს სტუდენტად არასასიამოვნოელ შთაბეჭდილებას არა მარტო ჩვენ—კაცკაცივლებზედ, არამედ თვით აქუარ რუსებზედაც კი. მაგალითად ასეთი წარმოთქმა—სკუნწოა, „კანენწო“

ელიშ. არაფერია; წინად ცაცამაც ავგო იტყია მაგრამ მერე ისე შეეჩვია, რომ ეხლა იმაზე ვეცაცებულე ბაყაყიპშია, გმონი, პარიზშიაიკ ვერა ნახთი. მუდამ დილით ირი-სამი ცოცხალი ბაყაყუნა უთოოდ უნდა გადაყლაპოს, ღიახ, ჩემო ბატონო, ასე იციან ჩვენში. იქ, რა თქმა უნდა, მუსიკითაც ვაგვეტოობით. (მობხედანს ზურჯინს) მართლა ჩვენგმა ცოტაოდენი ხილი და სხვა რაღაცეები გამოვიგზავნეს. ელბიძას თათელი, ხაჭაპური, გიორგის სახთლის არაყი და ჩემი ვინახის ნაფეთქი ღვინო. შამპანიურია, შამპანიური, ქალბატონი სალომე ჩაიბარეთ!

სალ. გამალობ, შენი ჭირიმე, გამალობ.
ელიშ. ღირს კი (ბოლოს სტენს) მებაზე ლაპარაკი! სხვა! მოყვებოთ თქვენს თავს რაღაც უნდა იყოს. გეგონათ ვერ შეგატყუო?.. ყველანი ვერავეთ გამოიყურებით, აქაურობას ბინდბუნდი გადაკვრია, ჰაერი თითქოს დამძიმებულა (ეკლბიძას), ნათლია ჩემი ძილზე გაფითრებული მიქვენება, მის მზორი სახესა და თვალეშში რაღაც ჩემთვის გამოუყრბი სედეა-ვიარამი აღმეჭილა. ქალბატონი სალომეც ხელეშს ასავსებებს. რაშია საქმე?.. აბა გიორგი, გამიკეთე ინფორმაცია!

და სხ. ეს, რასაკვირელია, აიხსნება იმით, რომ ჩვენ ყველანი და თვით აქაური რუსებიც იმიჯველნი ვეყავით (და ვართ)—სკუნწოა, „კანენწო“, და არა „სკუნწოა“, „კანენწო“.

რუსეთის თეატრებს საქმე არა აქვს, თუ ვინ როგორ იქცეველობს აქა თუ იქ რუსეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე; სცენაზე უნდა გაისმოლეს დახვეწილი რუსული ენა—მოსკოვერი გამოთქმა, გაწმენდილი ყოველგვარ პროვინციალიზმებისგან.

ჩვენს ქართულ სცენას დღემდე არ ეცალასეთ „წერილობანებისთვის“, უკეთ ესთქათა—ქართული მეტყველების უსახო არევ-დარევა არაყის მიანდა მომაკვლინებულ ცოლვად, გარდა ორიოდ „გადარეულისა“ ქართულ ენაზე! და რაც ხდებოდა და დღესაც ხდება ამ მხრივ ქართულ სცენაზე, ყველამ კარგად იცის.

კიდევ არაფერი, თუ ჩვენ სცენაზედ იღვბის ჩვენზე „შინაფოლა“ პეისა; გიკოლის გიორგინისა არ იყოს—„იმერეთმა უწყის, იქნება იქ ესეც უნდა“, მაგრამ კლასიკურ, ნათარგნ პიესებში კი საშინელ შთაბეჭდილებას სტუდენტს ნიელი ეს საქართველოს პროვინციალურ მეტყველების მრავალფეროვნება!

ამის შესახებ სამდღრავი ბეგრი გაისმოდა, მაგრამ პირველი აქტოური ნაბიჯი ამ უღიდესი ნაკლის აღმოსაფხვრელად გადასდა მოქ. აკაკი ფილავამ და ეს ნაბიჯი ბუნებრივად დლუკაქორად მისივე სტუდიის დაარსების ფაქტს. ჯერ ისე შარშან მოქ. ფილავამ მოისურვა თავის სტუდიაში სპეციალურ

სალ. ვილუბები, ვილუბები!
გიორ. ჩვენსა გადატრიალება მოხდა.

ელიშ. რომელსაც ალბათ წინ უძღოდა რველი ექსტი?

გიორ. არა, ყველაფერი მორიგეობით ვათავდა.

ელიშ. არც ერთი შეტაკება, არც ერთი ტრალიქული ვესტი?

გიორ. (ნერვიულად წამოდგება) ახ, მეგობარო რა შენი ოხუნჯობის მცხელა, თავზე ცეცხლი მეკიდება. (ვაიფრ-გამოივლის).

ელიშ. უკაცრავად, უკაცრავად. ეხლა მეცა ვხედავ, რომ რაღაცაში გადავჯვარებ, ზუმრობა იქით იყოს და მართლა რა მოხდა?

გიორ. ოჯახი დამეწრა.

ელიშ. რას ამბობ, ხომ არ შევშალე?

გიორ. მე და ევლიდა გავიყარინით.

ელიშ. ვაი, შენ ჩემო თავო! მიზეზი?

სალ. ვაი, ვაი, ვაი!

გიორ. სხვა უყვარს. როგორც მოსალოდნელი იყო გულწრფელად გამიზიარა თავისი-გულისნადე

ბი და აი დღეს ან ხელ კიდევ გამშორდება.

ელიშ. ეგ სულ სხვა საქმეა. რაკი ასეა, მეც რალა მეთქმის, ქალი პიროვნებაა და, როგორც ასეთი, თვის არჩევანში მუდამ თავისუფალი. (ეკლბიძას) ეხლა ნება მიბოძეთ მკითხობთ, თუ ვინ არის თქვენი სიყვარულის ობიექტი?

მეცადინეობის მოწყობა ქართული მეტყველების (დიქციის) განსამტკიცებლად, მაგრამ ტენიკურმა პირობებმა ხელი შეუწყო; მხოლოდ წელს მოქ. ფა-ლაღის ეს ნააღერსევი განაწვეტილებმა მილად ვა-ნიზიარა თეატრების სახანტურო საბჭომ და სათეატ-რო ინსტიტუტში ქართული მეტყველების საგანს დათმობით აქვს პირველი ადგილი: მომავალი ქარ-თული სცენის მსახიობნი საბჭოს შეგნებით და ხა-ლისით ისწორებენ პროვინციალურ გამოთქმას, უშ-ნო კილის და ანსახიებებენ ქართული ენის მუსი-კას.

ქართულ მეტყველების სათეატრო ინსტიტუტ-ში დასახული აქვს სრულიად გარკვეული საპროგ-რამო მიზნები: 1) მტკიცე დიქცია, 2) მოსპობა პროვინციალური კილისი, 3) ქართული ენის ბკე-რათა სახიერი გამოთქმის შეთვისება, 4) მოსპობა უწნო, ვულგარული მეტყველებისა და 5) მეტყველ-ბის მუსიკის ძიება-შეთვისება.

როგორც ჰმედავთ, დიდი და მძიმე ვალია ნა-კისრი; როგორ შესძლებს სათეატრო ინსტიტუტი ამის შესრულებას,—მომავალი გვიჩვენებს. ეს არის პირველი ნაბიჯი, სრულებით ახალი, მძიმე საქმე და, უნდა ვიფიქროთ, უკვე ვერ მოხერხდება მილად საქმის მოვლა.

ერთია მხოლოდ ცხადი: სულ სოკლე ხანში ინსტიტუტის ახალგაზრდობამ თავიდან უკვე იციუ-თა ბევრი ისეთი ნაკლი, რომელიც ძველ მსახიობს თან სდევდა მთელ მის საცნოერ მოღვაწეობის სი-კრებზე...

6. შიუჟაშვილი.

ი.ირ. (წამის შემდეგ) აი, ეს ჩენი ახალგაზრდა მგოსანი.

ელიშ. (შერმანდოსკენ მიტრიალდება) ხა, ხა, ხა, ხა! აი თურმე სად გაუშლია ჩვენს ფიგაროს გუდა-ნაზადი.

ელმ. (შეკრთება და ფრიალ გოაცებული ერთის წამით ედიშერს შეხედავს).

შერმ. ფრთხილად იყავით, ბერს არ მოგიმინთ.

ელიშ. ქ-ნო სალომე, შუბლი ვახსენით. ჯერ კიდევ არაა საქმე წაგებული.

სალ. შენ გენაცვალე, შენ გენაცვალე!

ელიშ. ევრიკა!

გიორ. ედიშერ, რა ყოფა გაქვს, რაშია საქმე?

ელიშ. იმაშია, რომ ეს ტიპი (შერმანდოზე) ერთ და იმავე დროს მგოსანი სართანძეცაა და შენი წილი შეტაბერძენიც, მხოლოდ იმ განსხვავე-ბით, რომ ეს უფრო გაბედულია და თუ რაჯა-ში შემოგექრა, მშვილობით: ცოლსაც წაეპო-ტინება და ცოლის დასაც. თუ არა ეს ნაკ-ლი, ისე ბაჟად ბიკი, ვით—უფეთესი: ნიჭი-ერი, გულკეთილი, ლამაზი, განათლებული ქიუფ-თამაღობაში სწორ-უზოვარი, „იკის მღე-რა, ტანციობა, მთელი ქვეყნის ამბავი“. (ელ-ზიდის) რომ კიდევ მომცლათ, ამ ქორწინება-ზე ვერ მოვიწერ ხელს.

შერმ. ეს არკაა საჭირო, თავს ნუ იწუხებთ.

ლოცვა გაზარანისათვის

წამი აღმადურენის და ფიქრი ნანგევი. ღმერთო! გამაფრინე და ქრისტე მაჩვენე.

ხელს მილლა ავიშვერს, ცოდეა ადამისა. ღმერთო! გამაგიეთე, და შენვე დამიცავ.

ნეტავ ზღვის ძახილზე გრივალს გავეტაცე. ღმერთო! გამაღვიძე მე სხვა ჰლანტაზე.

მიმაქეს პანაშვიდი, ვარ ღია ბლისებრე. ღმერთო! დამამშვიდე, და ძალი მაღირსე...

ტ ე რ ე ნ ტ ი გ რ ა ნ ე ლ ი .



ქართული სცენის პირვანდელი მსახიობქანი, დი-მიტრი ყოფიანის ასულნი.

ელენე—ანტი. ლორცქანიძისა და მარიამ—დავ. ქართულ-შვილსა. სცენაზე გამოვიდნენ 70-იან წლებში. აწ გარდაცვა-ლებულნი.

ელმ. (ედიშერს) მიზეზი?

ელიშ. აკი მოგახსენეთ, მაგრამ ვინაიდან თქვენი დაჯერება არც ისე ადვილია, ამიტომ აწ საქე-მეს გაეყვეთ კვალ ღ კვალ (შერმანდოზე). მაგაზე ძველი ნისიგბია დარჩენილი. თუ უნდა კიდევ იქნოს ჩვენთან რაიმე საქმე, ჯერ ის გაგ-ვინაილოს.

ელმ. არა მესმის რა მეგ ქარაგმისა...

შერმ. და ვერც გაიკებთ.

ელმ. (ედიშერს) გარკვევით სთქვით თქვენი აზრი! **შერ.** შეუძლებელსა სთხოვთ, ეს მის ძალ-ლონეს აღემატება.

ელიშ. რატი უზენესმა გარემოებამ ასე მოიტანა, და ამ ინტიმურ წრეში ვაირჩეს ეს საქმე. (ელმიდაზე) თაგჯდომარე, (გიორგებე და სა-ლომეზე) სასამართლოს წევრები, ჭთავის თაგ-ბე) ბრალმდებელი და (შერმანდოზე) ბრალდ-ბელი, თუმცა არა მორტი. მგოსანო, იმი იწყება და, ვით მოითხოვს ჩემი ტაქტიკა, გა-დავდივარ с аста в капюш, შეტევაზე. ვერ ვიტყვი, ეს მისია იოლი იყოს. მიუხედავად ამისა, სხვა გვა არაა, უნდა ვიტვიტოთ.

შერ. მამ ამაღამ დადამინის უმწვერვრესი გარძობა უნდა წარსდგეს მდამიო მოქალაქის სამსჯავ-როს წინაშე.

გისვენება ლაზეაჰით

მთასავით სდგანან მკედარი დღეები...
მწვინლობით ჩემო ძველო ნუგეშო!
მიმასვენებენ მე ლაზეები
და ირგვლივ შავი ნისლი თარეშობს

წვიმიან ქარში გადატყდა შავად
ჩემი ცხოვრების ბოროტი სარკე
და მწვერვალადან ვილაღ დაეშვა
კუპრით შავ-ბნელ მდინარისაკენ!..

ბალში კივიან ლურჯი ვარდები,
ყვავილთა გუნდი უკვე ვაღაზმა,
ზამთარი მოდის თეთრი ფარდებით
და თოვლა მივები დაფარა გაღმა!

გული სისხლისგან დაცარიელდა,
მე ვილუბები, ჩემო, თინათთან.
ნუგეშო დაო, ძვირფასო დედა!
საღლაღ ლაზე... საღლაღ ინათა.

ჩემი სახელი ღმერთს დაავიწყდა,
ჩემს უტნაურ გზას არ უჩანს ბოლო.
ცა უსაზღვროა... ცივია მიწა
და ყველაფერი ქარია მხოლოთ.

მე გუშინ დილას დაეკარგე თავი,
მას ცოვანი ძაღლები კბენენ...
ყორნების გუნდი უკან მომხავეს
და ლაზეები მიმასვენებენ...

ჩვენნი მსახიობნი



ლ. მისხრვილი.

ღვთი კობიძე.

იღიშ. ეგ არაფერი. მდამბო მოქალაქე არც ისე ხელწამოსკრავია. ხშირად ზეგრ მყვირალა მოწინავეზე მალლა სდგას. (შერბანდოს) ბიჭო ხარ და წინ დამიდგები. მოვდივარ თოვითა და ჯინჯილითა.

შერ. ვით შეჭვერის ნამდვილ პამპულას

იღიშ. ელიშერ მე თქვენ მაშინებთ.

იღიშ. ყოჩაღთ იყავი. გიწამლებთ და ყველაფერი გაგივლის.

იღიშ. თურმე ავად ვყოფილვარ და მე არ ვიცოდით.

იღიშ. ხატი, სჯული ეს ასეა. უნდა მოგახსენოთ, რომ სიყვარული ისედაც ავადმყოფური პროცესია, მაგრამ თუ იმას ამ რაინდის სექსუალ-ბაცილებიც შეერია, შორია. (ჯიორჯის) არიქა შეატყობინე სადაც ჯერ არს, მოახდინო სასწრაფო დეზინფექცია, რათა აქედან განიზნინო ყოველნი ეშმაკეულნი და სხვა ძალნი ჯოჯობეთისანი?

შერ. არ ვუჩრებ ბნ მამრატეს ჩემი მოთმინების ბოროტად გამოყენებას.

იღიშ. ძაღ ნათვიო, მოთმინება მეც მეკარგება, ვინაიდან მეტად უღირსად იხსენიებთ იმ კაცს, ვინც მე ასეთი ვატყებთ მიყვარს და ვისაც უნდა საბუღამოდ შეურეთო ჩემი ზედი.

ხალ. ფუ, უსირცხვილო!

იღიშ. ქ-ნო სალომე!

ხალ. (შვილს) მომიცილი შენ, მომიცილი.

იღიშ. (ელბიდას) საყვარელო, ეს საქმე უთუოდ უნდა ჩავშალო, ყოველ შემთხვევაში, მე ჩემსას ვიტყვი და მერე-კი, როგორც გე-ნებოთ, ჩემი გულწრფელნი სურვილია, რომ მეგობარი და იშვიათი სულის ადამიანი, სულ ერთია, ვისი მეუღლეც უნდა იყოს იგი, მეგვლეობდეს შედარებით კი პირობებში. (შერმანდოზე) პირად ცხოვრებაში ეს ის ბატონია, ვისაც თავისი წონა ცოდვები მიუძღვის ქალთა მიპართ; როგორც მწვენიერთა ცნობილი მუსუსი და მართლმორწმუნე სექსუალისტი, თვის უნებურად ყველა-სათვის საფრთხეს წარმოადგენს და თუ მიუ-შვით, თქვენ საბუღარზე ერთი დედალიც არ დარჩება დაუსუნთავი.

შერ. (წამობტება გაბრაზებულ) მოწყალეო ხელ-მწიფეც, თუ თავს არ დამანებებ, მე მაგ გეს-ლით სასენ გულს საშუღამოდ დადასტებ. (რევილვერის უმზუნებს, ქალები შეტკივლებენ და წამობტებიან).

გიორ. (ისიც წამობტება) შესდგეთი!

შერ. უკაცრავად, უკაცრავად! (რევილვერს ჯიბე-ში იღებს. სალომე ჯდება ისევ).

იღიშ. (დას თავ-დასბრილი, ოდნავ ცალ ხელით ბუ-ხარს მობჯენილი).

სახალხო სახლის ქართული დრამა



სახალხო სახლის ქართული დრამის სცენის მოყვარე-მსახიობნი.

გიორ. (აღღებებული შემანდოს) მოვიწოდებთ წესირებრისაჲცენ. რა გინდ მკაცრი და უსამართლო არ იყოს თქვენ მიმართ ედიშერ მამრაძე, იარაღს მინც არ უნდა მიმართოთ... მტრის იერიშები თქვენმა სიამართლემ უნდა მოიგერიოს.

ელიშ. (დინჯალ შერმანდოს) დაბრძანდით, დაბრძანდით, იარაღზე ნუ მიდგება საქმე, ზორემ ჯიბეში მეც მიიქვს ორლულიანი და თუ გავარდა, ისე დაიქექებს როგორც დიდი ზარბაზანი. რაკი მიზანში ამოვიღებ, მოხდება მარცხი, რის გამო მტერი ერთ განავაშს ასტეხენ და იტყვიან, რომ „საქართველო ია ქვეყანაა, სადაც კრიტიკოსები პოეტებზე ნადირობენო“... (ელბიდას) დიო ჩემო, გემუდარებით, ცალმხრივობა არ შექმამო, ჩემებრ გულწრფელი დამფასებელი ამ ჩვენს მგოსანს ორიც არ ჰყავს საქართველოში. დიდათ ეწუფავრ, რომ მისი ქებაც და გამთარხებაც მე მარგუნა მუხთაღმა მეღმა. ახ, რა კარგი იქნებოდა, რომ ამ დიად ნიქს და ფრიად მოსაწონ გარეგნობას, ამკობდეს სპეტაკი სულის შარავანდედი. მაშინ ოსინას ვუჯალობებდით და გზას იკარგდებთ მოუფენდით.

გიორ. ედიშერ მორჩი, თუ ძა ხარ, ნუ სტანჯავ ამ კაცს. ვერ წარმოიდგენ რა აუტანელია ყოველივე ეს.

ელმ. არა, გიორგი! მე მოვითხოვე, რომ ედიშერმა ეხლა ყველაფერი სთქვას.

მერ. (მარჯვნივ ოთახის კარებიდან გამოიხედავს) ძია, ვახტანგი გეძახით. (გიორგი გადის).

ელიშ. (გიორგის) ცოტაც და--ბავენი ჩემნი დაღუბლებიან. თუ ფიქრობ, დაგვიბრუნო უარმყოფელი ცოლი, შემცდარი იქნები. არა, ერეკლიძე. ამას მე შენ არ გაკადრებ.

ელმ. დედა, უხედაეს ყოფნას მიზნულებს. ახლოს მოდი ჩემთან, მეწინია, ჩემი მზე ჩასავლისკენ მიეკანება, მგონი ცაც უნდა ჩამოინარეს და თავზე დაამტყეს.

ხალ. აჲ ვარ შვილო, აჲ ვარ შენი ჳირიძე! (მივა მასთან).

ელმ. შერმანდო! ხელთათმანი გესროლეს, რატომ არ გინდა აილი?

შერ. ელბილა! (ელიშერზე) ეს ვაჟბატონი საქართველოში მოხეტიალე ტრუზბადურია, რომელსაც თითო გულა ჳირი მულამ ჳკიდა ჳურგზე. სარგებლობს იმით, რომ მაგის ვინაობას ჩვენში მაგრე რიკავ არავინ იცნობს, მაგრამ დამნაშავეის თვალები და გულის ამრევი ცინიზმი, საქმიოდ აშუქებენ საექვო კაცის ვინაობას. განხორციელდება რუტინისა და რეაქციისა, მოსისხლე მტერია ახალი დამიანის და მისი გაზაფხულის. ეს გაშმაგებული იერიშიც ამისი

წაშვება კვებონან

ეს კოშკი როცა მოვალ, იცემა სულებით და მკრთალ გამორულ ჩუქურთმას ეხაზუნება გამზნარი ხელნი.

დავტრეფე ქვეყანა და ჩემი სული მივეც სატანას საბოლოოდ.

მხოლოდ ხატება მარიამის მიგზანის მოციქულს და ინთება ტაძარი:

როცა მკვდარ ქაოსში შეიჭრა ჩემი ევდრება და ბაღიაში ჩარჩენილი ზეთის ფირფიტა აკანკალდა.

შური დაიბნა, რადგან სულმა თბილ საბნის ქვეშ იგრძნო ყოფნა.

ვესდი, გრივალს...

ო, ჩემი სული დააბოღა ამდენ ტანტალით, რადგან ჩემ სამლოცველის თაღს, კიდევ ერთი ლოდი მოაკლდა.

ევაშორე შვე ხატს...

და ჩემ ქვეთინზე დახსულ სარკმლიდან ჩამოცვივდა შავი მტკერი თოვლი და სახარების ფურცალს.

ღამის სიჩუმე მიიღებს ჩემ ამბორს.

უვაღლა შენი მღუბნარება ჩემი სული.

ბეგრის მეტყველია იმ ცივი ლოდის მკვდარი შემოხვდა, ვიდრე შენი უსიკოცლო მუშია სახე.

ნუ გეშინია სული... იქნებ გასტანოს ჩემ გედრებამ ხვალ დილაშდის.

იქნებ წამებად ჩაიაროს ჩემუდა...

და უსუცი გრივალს...

რომ გარიყოს ჩემ ტყობიდან მკვდარი სულები.

მოვა ნიღვარი ალბად.

შედევია. ვერ დაგიფარავ, რომ ჩემს წარსულში, მართლაც... იყო შეიქცემები, მაგრამ ეხლა გულწრფელად მსურდა განგზანილიყავ. თქვენი უწმიკელოების ემბაზში და ახალი გეხით წარმემართა ცხოვრება ჩემი.

ელიშ. ესთქვათ მართალი ხარ, მაგრამ სჯული რომ ნებას არ მოცუება?!

შერ. (ირონიით) ხა—ხა—ხა—ხა! ასეთი ჩამორჩენილი კაცი საქართველოში ცნობილი კრიტიკოსია, სოფელი ენახე უხადლო, შვე გვიიარე უჯოხოვო, ამაზე იტყვიან სწორედ.

ელა. (ელიშერს) ვადაპირით მოვიხიზე მითხრათ ყოველივე, რაც კი იციან ამ კაცის შესახებ.

ელიშ. ოღონდ ავხილ დარდას მაგის წარსულს და ორიოდვე მაგალითს მოგახსენებთ სანიშნულად.

ელა. ბრძანეთ!

ელიშ. უწინარეს ყოვლისა უნდა ვიცოდე, რომ ისევ მენდობით და გჯერათ ჩემი.

ელა. გენდობით როგორც არავის.

შერ. (აღღება) მაშ მე აქ შეგიტოვო, მშვიდობით.

ელა. შერმანდო, დარჩი!... გამარჯვებული უნდა ვაშობივდე უთუოდ ამ ბრძოლიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკათ ვაგისწორდები, ჩემ გძინობთა შევირებისათვის, დაჯექით და მოუხსინე ბრალდებულს.

გამზავებული ამბორი იუდასი ჩავვივლის კიდე- და ვერცხლის კუჭკი შეიპყრუნებს ჩემს ტაძარს.

გადივლის შენს თავზე ტაძარი ბეგრის მები, იქნებ ერთი იპაგვანი ფეის ბედი ჩვენი საბოლოო!..

ნესტიანი კედლები... ხავის ვარაყი ძველ კრამიტის ნაოჭებზე... გვიანი ვატეხილი... კუბო ოქრო-ვერცხლით მოქედილი... და ხვეული კბიე მიღმეული ძველ ზღაპრებთან; ნათესავია ჩემი!—მაგრამ: უვადოა შენი მღუბნარება სული.

კაიუსს!.. იქნებ შენი სულია გართხმული ამ შვე კუბოში.

მცივა...

მე ვეტყვი მზეს, რომ აქ ვარ ნესტიან ქვებთან ჩათესილი:

და იქნებ ეს მყარალი წუმება, უვადო ტანჯვის დასაბამი.

ო, ნესტიანი ქვები! ისევ თქვენ იყავით მარგალიტინ ჩემი სულის დასამწვევებლად.

კიდევ გადვილის ჩემ სამლოცველოზე ჭოტი. იისი ხმა ეფეთება სარკმელს.

და ვუსუცი გრივალს!..

მესმის გინება, ოხვრა, ტირილი გამჭრალ სულითა და მაგონდება: ბერი უღანოში.

მისი ლონდი ჩამვიღის წინ.

დავხედავ საკურთხეველს, სადაც ფერფლიდა დიდი ცეცხლის, რომილეც უშუქებდა შვე სარკმელებს.

და იქვე ფილაქანზე ნაღვენთი.

ო, მეშინია... გრივალო ვიცდი!..

სავსეა ტაძარი შხამით.

კაიუს პელი.

შერ. უკაცრავად!.. ყველა იმის შემდეგ, რაც მაკადრეს, აქ დარჩენა თუნდ ერთის წუთითაც, თავის დამცირობათ მიმართა.

ელა. დაჯექით მეთქი გულებზე.

გიორ. (შემოღის და ვაჩერდება ბუხართან პაპიროსით პირში).

შერ. ბატონებო! თქვენ შევიძლიათ გამასამართლოთ როგორც მგოსანი, თუ რაიმე დანაშაული მიმიღვის ამ დარგში, დანარჩენი არ შეგხეხვით პირადობასთან რა გესაქმებდა. შორს ჩემგან, ბ-ნო მამრამე, თქვენი მენაშური ხელები! (დემონსტრატულიად გაღის).

ელიშ. ბრალდებული გაიქცა, ეხლა რას იტყვი.

ელა. (აღიღუმეული წამოდგება).

სალ. დამშვიდო, ჩემო გოგონა, დამწვიდოდი? ელიშერ მიშველე ლამის წინა.

ელიშ. (სწრაფად მივა და ხელს მოჰკიდებს) ნათილია ჩემო, მეტად ხარ აღიღვებული, დაისვენეთ, დანარჩენებზე ხვალ მოვილაპარაკოთ.

ელა. (გასწორდება და მტკიცედ) დასასაუთეთ ბრალდება (ჯღება).

ელიშ. აი ვიწყებ: ამ რამოდენიმე ხნის წინად უკეტმა სართანძიმე თავი შეავარა ერთ იხტე მოგენტურ ოჯახის მეტად სმპატიურ ქალიშვილს. სულ მალე ის ფეხმძიმე შეიქნა, ქწორედ მაშინ, აიოი და მიატოვა. შეწრაილად

ვენერას თვალები

მე რომ ჩემი ლურჯა გამოვაქროლე, შენ აი-ვანზე იჯექ და ხელსახოცის ქნევით თვალი გამო-მაყოლე.

შენი მზერა არე-მარეს აკაშქაშებდა.

მხიბლავდა,

მწვევდა,

მიმოიზებდა

და მეც დავრწმუნდი, რომ ტრფობის ღმერთა ვენერას ცისფერი თვალები ჰქონია.

ეხლა?

ჩემი ლურჯა დაღალულია.

მიომხიბლავ თვალებს მისი ქროლვა ველარ იზიდავს.

ღროთა ბრუნვით დაუნდობლად შემოძარცველი მეც მივალ სხვაგან საშუალოდ დასასვენებლად.

აივნის თავზე გაბმულ ვარდებს ფოთლები სცვივა.

შენც ზიხარ მარტო და მოწყენით გაიყურები.

ალარა მაგრა, რომ ვენერას ცისფერი თვალები ჰქონიოდეს.

ნიკ. გვანცალაძე.

გვანი რაუზსორაკი



ნ კ გ

ალ. ახმეტელი.

მთელი ოჯახი, მიუგზავნეს კაცი, მაგრამ უარი შემოსთვალა: რომ მაწამოთ, ცოლს მიივცე ვერ შევირთავო და ამით სრული სიმაართლეცა სთქვა. ძმებმა მოკვლა დაუპირეს, მაგრამ შეურაცხყოფილი ქალის მუდარამ გასპრა და ყოველივე წყვდიადმა შთანთქა, როგორც ამაღამ. რომ არ განზიანებულყო, ქალს მუცელი მოსწყვიტეს, ეს ამბავი მზხოლოდ მე გამანდღეს, ზემოდ თქმულს დაამტკიცებს ქალის მამის მიერ ჩემდამი მონაწიერი წერილი, რომელშიაც ის გულდათოთქული მაუწყებს საქმის ვითარებას და მთხოვეს მე, ქართული ლიტერატურის გენერალ-პროკურორის, გამოეცხადებოდა მისი ოჯახის დიდ უხედურებას და რითივე ვანუგეშო. მთხოვეს აგრედვე, თუ საჭიროდ დაეინახე, წარედღვე მოხსენებით ქართველ მგოსანთა პირუთენულ სამსჯავროს, სადაც სახელის გამტკიბი წვევრის საქმენი საგმირონი ჯეროვანად იქნება შეფასებული, მაგრამ ჩვენ, მავს, რა ოქმა უნდა არ ჩავიდნით.

იღპ. (გაწყვეტინებს) ახ, კმარა, კმარა. (შვირბნის მარცხნივ და პალტო გადაცემული ისე მალე გამოვა).

სალ. (ხმის კანკალით) ეს რა ამბავია?
ელიშ. საით ნათლია?
იღპ. ნუ მეკითხებით (მიდის კარებისაკენ).

სალ. ნეტა სად მიდის! ელიშერ მიშველე, შენი კირიმე!
ელიშ. (გზას გადაულობავს) ვერ გავიშვებთ.
იღპ. მიზნები?
ელიშ. იქ, ვასავალიან, სდგას პირადლებული გველუშაბი, მისი სახელი დუხბიოი ცხოვრებაა.
იღპ. გამიშვით, არაფრისა არ მეშინიან.
ელიშ. ჯერ მე მომიკალით და მეერ რაც გენებოთ ის ჩაიღინეთ.
იღპ. ღმერთო ჩემო, როგორ შვერცხვი, როგორ მომეჭრა თავი! (წასკდება ცრემლთა ნაკადული)
ელიშ. ეჰ, გაწვიმდა, კარგი ნიშანია.
სალ. ნუ სტირი, მოგიკვებს დედა, ნუ სტირი.
ელიშ. არაფერია, იწვიმოს, იწვიმოს: მალე გადაიღებს და ცა ისევ ვარსკვლავებით მოიკედება. (ელბიდას) ნათლია ჩემო! ყველა ამის შემდგე-თქვენი ბერითეუ ში წაყვანა სულზე მისწარება იქნება და წაიყვანთ კიდევ.
სალ. ელიშერ მამრამე, იკურთხოს შენი სახელი, უკუნეთი უკუნისამდე.

ფ ა რ ლ ა .

(გაბრძანება შემდგ ნომერში)



როგორი ხელოვნება გვჭირდება ახლა (თეზისები)

ბევრი ჩვენებური ხელოვნების დღესაც ჰგონია, თუ ის რასმე „ხელოვნურს“ შექმნის, საბჭოთა რესპუბლიკაშიაც მისაღები იქნება იაე, როგორც ეს ძველ დროს იქნებოდა. მას ავიწყდება, ან ჯერ კიდევ შეგნებულ-შეგარძნობილი არა აქვს, რომ ხელოვნური ანუ ესთეტიური ღირებულების სახომი წინათ სხვა იყო, ახლა კი სხვაა. ამიტომ ჩვენებური ხელოვნათა საყურადღებოდ საქართვეოში მიმართა ვანგმართ, თუ როგორი ხელოვნება გვჭირდება დღეს საქართველოში.

საშუაბართ დრო და გარემოება ამჟამად მიიძლევის, რომ ეს განმარტება მხოლოდ თეზისების სახით მიგაწოდო მითხველს.

მით უფრო, რომ მიმდინარე წლის 2 იანვარი ჩვენებური ტრადიციული თეატრალური დღე მიაკლებს ამას.

1. ჯერ გავთავალისწინოთ საერთო საფუძველები, ხოლო შემდეგ განსაკუთრებული პირობები, რომ შევქმნათ საქართველოსთვის ნამდვილი ცხოველყოფილი სახელოვნო პირობები და მუშაობის გეგმა.

საერთო საფუძველები შემდეგია: ა) ხელოვნება საერთოდ კულტურის ანუ იდეოლოგიის ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი დარგია; ბ) ყოველი ისტორიული ეპოქა თავისი განსაკუთრებული კულტურით ხასიათდება; გ) მიმდინარე ხანა გარდამავალი ხანა და ის წარმოადგენს კაპიტალისტური ეპოქის დასასრულს და სოციალისტური ეპოქის დასაწყისს; დ) აქედან მიმდინარე ხანის, გარდამავალი ხანის კულტურული შემოქმედება-მუშაობა შეიცავს კაპიტალისტური კულტურის საჭირო ძველ ელემენტების შეთვისებას და სოციალისტურის, ახალი ელემენტების შექმნას. საჭირო ძველის შეთვისება და საჭირო ახლის შექმნა, აი დღევინი ყოველი ახალი ეპოქის დასაწყისის იდეოლოგიური შემოქმედება-მუშაობისა.

2. სწორედ გვევინ თქმის კერძოთ ხელოვნებაზე, მხოლოდ აქ საკითხავია: რისი და როგორი შეთვისება საჭირო ყველა წარსული (ძველი) კულტურიდან და ვის მიერ შეთვისება? ეს ერთი, ხოლო მეორე—საჭიროა ვიცოდებთ: ვინაა საჭირო ახლის სოციალისტური კულტურის მთავარი შემომქმედი ახლადღელ გარდაბაელ ხანაში.

3. ამ კითხვებზე რომ სისწორით და შერეულად ვუპასუხოთ, საჭიროა, მოვიანოთ მიმდინარე ხანის საზოგადოებრივი ვითარება, რომელიც, როგორც ვიცით, პროლეტარული რევოლუციით ხასიათდება: დღეს მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია სწრაობება და მასასადამე ცხოვრების ყოველ მხარეს, იდეოლოგიურად, რა თქმა უნდა (ამას გრ. რომაქიმეც კი აღიარებს თავის წერძელში უფრ. «ИЗВЕСТ» № 11), თავის ბიჭულ ასეამს, ყველაფერი პროლეტარული ხელიდან გამოდის, ახასადამე — ხელოვნების საქმეც.

4. მსოფლიო პროლეტარიატი არის ის ერთადერთი კოლექტივი, რომელიც ზემოთ წამოყენებულ, ცხოვრებდან წარმოშობილ კითხვებზე უპასუხებს.

5. პირველ კითხვაზე ის გადაკრით ვეუბნება: ყველა წარსულ კულტურიდან და, მასასადამე, კაპიტალისტურიდანაც საჭიროა მხოლოდ ის, 1. რაც ჩემი კლასობრივი ბრძოლის ინტერესებისათვის ორგანიზაციას ჰქმნის და 2, რაც იმავე დროს კაპობრაობის განვითარების საერთო ინტერესებს ემსახურება. აქ წინააღმდეგობა, საბედნეროთ, არ არსებობს, ამიტომ ეს ორი პირობა აუცილებლად დაცული უნდა იქნას.

6. მეორე კითხვის პასუხი აქედან გამოდინარობს: ახალი, სოციალისტური კულტურის ელემენტებს ჰქმნის პროლეტარიატის საზოგადოებრივი, კოლექტიური ყოფა-ცხოვრება, რომელიც ემყარება იმ საზოგადოებრივ კლასობრივ როლს, რომელიც წარმოებაში ისტორიამ მას დააკისრა.

7. წარსული იმპერიალისტური-კაპიტალისტური ხანის წარმოშობაში იგი მხოლოდ „შემსრულებლის“ როლს ასრულებდა, ხოლო დღეს პროლეტარულ სახელმწიფოებრივ კაპიტალისტურში (ეს მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციაში) მისი (მსოფლიო პროლეტარიატის) ერთი დიდი ნაწილი „შემსრულებელ ორგანიზატორის“ როლსაც ასრულებს: საბჭოთა რესპუბლიკებში ის წარმოებს „ორგანიზატორიც“ უნდა იყოს და „შემსრულებელიც“, ვინაიდან იგი ისტორიულად მოწოდებულია წარმოებაში „ორგანიზატორ-შემსრულებელი“ იყოს და არა მხოლოდ „შემსრულებელი“.

8. პროლეტარიატის კულტურულ-იდეოლოგიური როლიც აქედან გამომდინარობს: თუ წინად როგორც ნებითერი, ისე სულიერი კულტურის შემომქმედი ბურჟუაზია და მისი საზოდან გამოსული ბურჟუაზიული ინტელიგენცია იყო, ახლა ეს როლი, კულტურის შემომქმედის როლი გადადის პროლეტარიატზე, პროლეტარულ „ინტელიგენციაზე“. ამიტომ წინანდელი კულტურა იყო „ბურჟუაზიული“, ხოლო ახლანდელი ხდება (საბჭოთა ფედერაციაში) „პროლეტარული“, ვინაიდან პროლეტარიატი ჩვენს პლანეტის ერთ მექსედზე უპირატესად მთელი საზოგადოების დიქტატორი, როგორც კლასი.

9. კლასი კი და მისი ელემენტები ჰქმნიან ამ კულტურას (ამ შემთხვევაში პროლეტარიატი) და არ შეიძლება, რომ მან ამ კულტურას თავისი კლასობრივი ხასიათი და ელენური არ მისცეს. კულტურის შინაარსი და ფორმა განსაზღვრული კლასის იდეოლოგიური გამოხატულებაა და ამ იდეოლოგიის შემომგონებელი თვით განსაზღვრული კლასია, დასასრულ პერსონალურათაც შემომქმედი და კულტურის ამავე კლასის წარმომადგენელია.

რადენე კლადე.
(დასასრული შედგენ ნომერში)



კობე ჟივიანი

ხეივან ლეონიძე („სამშობლო“): ალექსანდრე... სამშობლო არ დაგვიწყდეს!

ა. პეხნევილი — ოპერა „დაისი“-ს შესახებ

სახელმწიფო სოპერო თეატრის დირექციამ, ცნობილ კომპოზიტორ-ფონოგრაფ ანტონ ეიხენვალდისგან შემდეგი შინაარსის წერილი მიიღო:

„შემთხვევით მოგხვდა რა ოპერა „დაისის“ პირველ წაროდგენას, არ შემომლიან ის მოვლენა უფურადღებოდ დაესტოვო და არ მივესალმო დირექციას ამ ყოვლად მშვენიერ დადგმას გამო.

უკანასკნელ 5, 6 წლის განმავლობაში ჩვენში არ დაწერილა არც ერთი დიდი მუსიკალური ნაწარმოები, რის გამოც განმტკიცდა ის აზრი, რომ საბჭოთა რესპუბლიკებში, მუსიკალური შექოქებდება გაიყინა და ჩაკვდა. მაგრამ მოვისმინე თუ არა ზაქ. ფალიაშვილის ახალი ოპერა „დაისი“, მე დავრწმუნდი წინააღმდეგში, და ყოველ შემთხვევაში, ასეთი შეხედულება არ შეიძლება არსებობდეს საქართველოში მანაც.

ზაქ. ფალიაშვილს ხალხური სიუჟეტზე და ხალხურ სიმღერებზე შეუქმნია მშვენიერი ოპერა, რომლის მუსიკა გხიბვლით თვისი სიხალთით, ბრწყინ-

ნავს ნაციონალურ კოლორიტის სიღამაზით და თავისი გულწრფელობით იპყრობს მსმენელს.

დიდება და პატივი ზაქ. ფალიაშვილს—ასეთ მშვენიერ ნაწარმოების შექმნისათვის, მაგრამ მისი უფრო დიდი დამსახურება გამოიხატება იმაში, რომ იგი სწერს და ნიჭიერად—მხატვრულად ამუშავებს ქართულ ხალხურ სიმღერებს. მის მიერ მშვენიერად გადამუშავებული ხალხური ქართული სიმღერები მომხიბლავია თავისი სიღამაზით; მისი სმენიერია პარმონიზაცია და დამახასიათებელი ორკესტროვკა უფრო მეტ კოლორიტით არის აღსავსე და უშუალოდ ნათელყოფს ხალხურ სიმღერების სიღამაზეს.

ოპერა „დაისი“, მიუხედავად თავის არა რთულ პიესის ფაქტურისა დრამატიზმის მხრივ, ნიჭიერად დაწერილ მუსიკის წყალობით, დიდად საინტერესოა მისი მომენდა და უნდა ვიფიქროთ, რომ მისი წარმატება უზრუნველყოფილი იქნება.

ოპერა მშვენიერად არის შესწავლილი და დადგმული, საერთოდ კი წარმოდგენა მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებს.

გთხოვთ მიიღოთ, ძველი ტფილისის თეატრალურ მოღვაწისაგან, ჩემი გულწრფელი სალომი.

ტფილისი.
19 დეკ. 1923 წ.



ჩვენი საფლავები

თან მწუხრის საგალობელთა გულმომწყველი გრძნობის მომგონებელი და თან კი ღვთაებობამდე აზიღული ენტარების ამოღენია ეს სიტყვები:

„ჩვენი საფლავები“...
მათში ჩასახული სახელები ქართული სახიობის მწვერვალზე არიან და თავისი შარავანდით დღესაც მოსავენ დანარჩენთა ქმედობას, თუ საოქმედარს...



კ. მახვილი — ნერონი.

ტფილისი, შუა ქართლი და გუგუნი მათ საყვანთა სახელებია. აქ დაიბრუნა და აქვე დაიხსენება მათი აღმზრდელი აკანია... მათი სულის ცვლილებ-

ვლ. მახვილი, ნატო გაბუნია, კ. მახვილი, ვ. შალიკაშვილი და სხვანი ჩვენთვის მარადიდ სამახსოვრო ქურონი იქნებოდნენ. ეს სახელები ჩვენი სამსახიობო ღირსებისა, მთლიანი საქართველოს „პუნდოლონი“-ის გამომსახველნი არიან და მათ საფლავებზე ყოველთვის იცისკროვნებს პატიოსანი ერის პატრიონური სიყვარული...

ბათა კამარა მთელ საქართველოში იკრებდა მკვიდრი შემეარტებელი თაღის მასალს და თავის სიგრჯეში იტვიფდა ჩვენი აღზრდისა, ჩვენი შეგვებისათვის საკურო ნაკეთებს...

ჩვენი საფლავები სამშობლოს სხვა და სხვა კუთხეში მოთავსებულან, მაგრამ მათი კურთხეულობის ნაპერწკლები შევიდრიოდ გვიმან ერთმანეთს და ერთ მთლიან კოკონსა ჰქნინან, რათა თავისი არსი საპარადისოდ დაფიქსირა ჰქონ...

ლდო, ნატო, გიორგი, ვალიკო და სხვანი თავის სახელებს თვით იმეორებენ და ჩვენ წხოლოდ ყურმიხელობა გეშარტებს, რომ მათი ძახილი შევისმინოთ, მათი საფლავების მეთვალყურენი ვიყვეთ.

ჩვენი საფლავები ყურ თავდებს ითხოვენ, ჩვენი საფლავები დღესაც ჩვენი დამრიგებელნი არიან, მაშ ჩვენი ბრწყინვალე დღესასწაულის, მსახიობთა დღის უქმიბაშიც არ დავიწყეთ ეს სამარენი და მივიღეთ მათთან, ქონებრივით თუ არა, გონებრივით მაინც ავსახთო ამიღ დიდობა.

მის ხატულაზე.



იოსებ იმედაშვილი!

უძლეველ ენერგიით, მოხვალ მოიპარებე:

ხელში ორად გეშლება „თეატრი და ცხოვრება“; ვრჩებით შენს დანახვაზე ყველა განახარები, რადგან ჩვენში მძლავრია შენი დამახსოვრება.

ჰკრძობ, რომ ისევ გათბე ჩვენი ცივი გულები. ერთგულ დარაჯს ქვეყნისას, პირზედ აღი გედება, შესსკენ თუ ისელები ბედიდ დამაგრულები.

ხელოვნების კოკონზე ვიცი როგორ იწვები; ვიცი რა გულწრეულობით დნები მთლიად სიყვარულად; კვლავ მტკე გატაცებით -- შრომის ფარჩით ირთვები.

ამწივე შრომის ნაყუს და ილიებში ფარულად!

ეხლა უფრო ინათებს შენი დამახსოვრება; დღეს თუ აიშარცვლება სიტყვა შენი კალამის, მომავლა დიდი ასლოდან იყურება... დროა მისი მიღების, დროა მისი სლამის.

და შენ, ჩვენი მხოვანი, ბრძოლით განაკაქები, კიდევ მძლავრად გადისცემ ძახილთ დაცლილ პაროლებს.

შენთან მოვალთ ყველანი: მოხეტნი თუ ვაჭები, ბედი თანახიარი შენთან თუ მოვგეპროლებს...

ეხლა სხვა განცდებია. დღეს სხვა სული ამინდობს. მზეობს შემოქმედება -- მომზიბლავი ფერებით.

ვიცი შენი სახელით ხალხი მოყვრად დამინდობს. ჩემთან ერთად სხვაც მოვა შენთან ტკიბლ სიმღერებით.

არხენ ვადაქორია.

დავითაშვილი გიორგი კალი



დამათქვრებელი ცნობა მივიღეთ სოფლიდან.

მარიამ გარიყული უსასოო მღვთმარცობაშია თურმე, ნივთიერად შევიწროვებულა.

და ეს ის მარიამ გარიყულია, რომელმაც თვითმპროტკობის ხანაში -- ცხრასიან წლებში არა-

მარიამ გარიყული ჩვეულებრივი ნაბიჯი გადასდვა.

ახალგაზრდა, 16 -- 17 წლის გასათხოვარმა, ქალმა, კალათით წიგნები აიღო და ქართ. აგრესიულბდა მუშათა წრეებში, ქმრებზე, მდაბიო ხალხში, ქართველ პროლეტარიატში.

იმ დროს ასეთი ნაბიჯი მართლა და დიდი თავგანწირვლბდა იყო, რადგან ახალგაზრდა მონიტელიგენტო ვაყენ კი თავკობდნენ ასეთ საქმეს. ინივე ხანებში სცენაზე გამოვიდა -- ტფ. სახლხო სახსლა და ქუთაისში.

მაგრამ ყველა ეს არ იკპარა: ვითარცა ხალხური შწირლის ქალმა (ლუკა თათიეშვილის ასულია) კალამს მოკვიდა ხელი და მრავალი მოახზობით დაამშენა ჩვენებური ჟურნალ-გაზეთები.

1905 წ. ეალექ წონად გამოვიდა მისი მოთხრობა „ჯაშუში“.

ამის შემდეგ უკანასკნელ ხანაშდ ათავსებდა მოახზობებს თითქმის ყველა გამოცემაში.

საგანი მისი მოთხრობებისა -- ჩვენი ყოფაცხოვრება, უმთავრესად მდაბიო ხალხის სულიერი განცდა, ნივთიერ-უკლებრივი ტელუტუდნაობა.

მარიამ გარიყულის ნაწარმოებთა ერთი დიდი ტომი -- დახლოვებით 200 გვერდი, 40-მდე მოთხრობა, სახელმწიფო გამოცეკვლობას ვადექცა განსახილველად და გამოსაცემად.

თავისი ნაწერებით მარიამ გარიყული მკითხეულში მუდამ კეთილშობილ განზობებს აღვივებდა; თვითმპროტკობელისადგან განმტკიცებულ აზროვნების მისებ ბოკოლ-მუნდეს ამსხვრევდა;

ხალხს უკეთესი მომავლის რწმენას უნერგავდა, წინსვლის წუწუვოს უძლიერბდა, განახლებულ ცხოვრების მიზნებს უსახავდა.

და აი ასეთი მწერალი კალი დღეს მივიწყებულა.

სამშობ-სიცივისგან სულ შეხტოულა.

შავნული წარსულის დროს, თვითმპროტკობლობის ხანაში მარიამ გარიყული გაბატონებულთა წრიდან თუ გარიყული იყო, დღეს ასე აღარ უნდა იყოს.

— მარიამ გარიყული -- მარიამ შვერდიმლიად უნდა ვადექცე.

სიყვარულით, თანაგრძნობით, მზრუნველობით გაუთბოთ გული.

და, გვემდღეს, ამის შემდეგ კიდევ უფრო გაცხოველებდა კალამი მისი.

იოსებ იმედაშვილი.

გეოგრაფიკული

სურვილი

მინდა მისას სხივი ვიყო,
 ცის მიწასთან შემაერთო;
 მინდა ხელში ჩაიგო მეპყრას,
 ვადიადო მუხის ღმერთი.
 მინდა ტრუობის ბადე ექსოვო,
 რომ გავაბა ყველა ქსელში:
 სიყვარულით მტრობა მოვსპო,
 მოვესწრა ჩემ სიცოცხლეში.
 მინდა ცის და ქვეყნის შუა
 კიბე ენახო ამართული:
 მზეს პირისპირ ესაუბროს
 ბედისაგან დაზავებული.

შაქრო ნავთლუღელი.



ნ. კ. გალუსტოვი.

ნამსგდარი მოკაონხე ქართული ოფიცრისა (გარდ.)



ვ. შალიკაევი.



კ. შათირიშვილი.

სახელოვნო ქრონიკა სამშობლოში

ორი იანვარი მთავრობის დადგენილებით მსახიობის დღესასწაულად იცავდა.

ფოსტა ტელეგრაფის კავშირის კლუბში ამ ეამად სწარმოებს გაცარებული მუშაობა: მხატვარ ახალ დეკორაციებს კლუბისა და თეატრის სცენებისათვის. საქმეს ხელმძღვანელობს სოლოქო კავშირის კომიტეტის და ამავე კლუბის გამგეობის თავმჯდომარე პრ. ბერძინიშვილი, გ. დოლიძის და თ. ნასიძის უახლოესი მონაწილეობით. კვირაში ორი წარმოდგენა იღვმის (ქართ. და რუს.) კავშირის წევრთათვის. წარმოდგენებს წინ უღვავს ლექსიკონ-მოსხენებანი, იმართება კონცერტები. რეისორი ბენ მ. ჯომარაძე, ს. სულხანიშვილი და თ. ნასიძე (ესევე ხელმძღვანელობს კონცერტებს).

სახელოვნო სახლის რეისორი (ფე. ბარველი, მ. ლევიჩაევი) ამ ახლო ხანში დასდავს ახალ პიესებს ახლო დეკორაციებთა და ტანისამოსით.

ავლაბრის სცენის მოყვარენი, რადგან აღვილობრივ კლუბში შესაძლებლობა არა აქვთ წარმოდგენის მართვისა, ორაუქალაში გადაბარდენ და იქ მართვენ წარმოდგენებს. სახლი მრავალი ესწრება. ავლაბარი ქართულ წარმოდგენებს მოუყვებილია.

მუშათა ცენტრალურ კლუბში სახელოვნო სახლის ქართული დრამა შაბათობით გამართავს ქარ-

თულ წარმოდგენას, ივ. ბარველისა და მ. ლევიჩაევის რეისორობით.

სახელოვნო სახლის წრეს გადაუწყვეტია დასდგას პ. ჰაუტკემანის პიესა „ფიქრები“ კ. მარჯანიშვილის რეისორობით. მზადება დაიწყება იანვრის შუა რიცხვებში, დაიდგმის—თებერვლის პირველ რიცხვებში. იხატება დეკორაციები და მზადდება ტანისამოსი.

მთავრობის დადგენილებით 2 იანვრის მივლ საქართველოში გაიმართება წარმოდგენები, რომლის 50 პროც. წმინდა შემოსავლიდან გადადებულუნდა იქნეს ქართულ მსახიობთა კავშირისათვის.

მასხ. კავშ. სახელოს გადაწყვეტილებით მიმდინარე სეზონში გაიმართება სამი ოუბლიე: ტ. აბის, ნ. გოციის და მარო მღვინისა.

დარამბუჩაზი

ივ. მაქავარიანი სთარგმნის ერთ მოქმედებანი კომედიის „მწვანე თუთიყუში“. მოქმედება სწარმოებს ბასტილის ატების დღეს, საუარნავთის დიდი რევიოლუციის დროს.

ს. მაგალიბიშვილის მოთხრობა „ჯგორ ხაქარა“ გ. დოლიძეს პიესად გადაკეთებია და დაიდგმის ტ. ტელ. მ. ცხაკაიას სახელობის კლუბის სცენაზე

სოლ. ახვლედიანი, სახელოვნო სახლის გამგეობის თავმჯ., ფრანგულიდან სთარგმნის ვოლფის პიესა „სერობა“ ს. პიესა დაწერილია გერმანულ ენაზე, რუსეთის რევოლუციონერ ცხოვრებიდან, გერმანულიდან ფრანგულით არის ნთარგმნი. პიესას დიდი ძახელი აქვს საუარნგეთში, შეიცავს სამს მოქ და ძლიერ საყურადღებოა, როგორც სასცენო-სახელოვნო და რევიოლუციონერ შინაარსის ნაწამოები.

მეორეობა

„ოუტის ყვავა“—გერ. ცეცხლქაის ლექსით კრებული, ავტორის ორაგინალური სურათით გამო-

ი.ა. ლექსები ახალი ყაიდისაა. შეიცავს 32 გვერდის სიგრძის მის 35 კ.

კომპ. 5. სულხანიშვილის ცხოვრებიდან რომანს სწერს თ. მაღაროელი (ნასიძე), ავტორი რომანის „ღედა კონიასი“. რომანს ეწოდება „ტანჯული სულია“. შესდგება სამი ნაწ.

ს. მაგალობელიმ დაამთავრა ლეგენდა—რომანი „მზეთუნახავი გელი“, რომლის რვა თავი დაბეჭდილი იყო ქუთაისის ჟურ. „განათიადში“ 1913 წ.

ახალ დიდ მოთხრობას სწერს ს. მაგალობელი ბატონყმობის ცხოვრებიდან „პირველი ღამე“, რომელსაც პეისათაე ვადააქეთებს.

ახალგაზრდა ჭგონანმა კოკი ებრალიძემ (ტალღამ) დაამთავრა თვისი ახალი პოემა „ტყის ქალი“, გროლის ცხოვრებიდან, ორ ნაწილად. ამჟამად შეეცემა გასული საუკუნის 40-იან წლების.

უცხოეთი
თეატრი.

ნინა ალექსი-მეხსიშვილი, ლდის მეორე ქალიშვილი, თამაშობს პეტროგრადში ყოფილ საბურთაისის თეატრში „ნასიკე“ პრემიერულად.

ელენორა დუშე ვასტროლობს ვენაში. პირველად გამოვიდა იმენის „ქალი ზვიდან“-ში.

ჟაკეტა „მერმეხის“ პეტროგრადის სახალხო სახელში იღვგება ტურციების რეისორობით.

გ. მეიერჰოლდი, ცნობილი რეჟისორი, ამზადებს თავის თეატრში მოსკოვში ახალ პრემიერას ოსტროვსკის პიესის „ტყე“.

ტოლდერის „მეგნენ უბედურს“ რადლოვი სდგამს პეტროგრადის მიხაელის თეატრში.

მოსკოვის კამერულ თეატრში მორიგ პრემიერამ ჩეტერტონის „კაცი, რომელიც იყო ხუთ-შაბათი“, თავის მემარცხენე დადგმით დიდი მოქმამოთქმა გამოიწვია პრესაში.

ვარშავას თეატრებში დიდის ანშლავით იღვგება ინგლისელ დრამატურგის ბერნარდ შოუს პიესები.

მაქს რეინჰარდტი. ცნობილი გერმანელი რეჟისორი ამერიკას გაემგზავრა საგასტროლოდ.

ცეკვა.

ბალეტმისტერი გ. ბალანჩინაძე, ჩვენი თანამემამულე, მიწვეულია პეტროგრადის ყოფილ მიხაელის თეატრში.

ანა პავლოვა, განთქმული რუსი მოცეკვავე, დღის ამბით ცეკვაკა ლინდონის კოვენგარდენის თეატრში.

დრამატურგია.

პაულ გურკის ახალი დრამა „ტომას მიუნცერ“ თავისი სტრუქტურით უახლოვდება ვიოტლერის „გამცემ ბერლიხინგენ“-ს და პ. პაუტმანის „ფლორიან გეიერ“-ს.

გერმანიელი დრამატურგის გ. კაიზერის პიესა „თელ და ეანა“. სულ სხვანაირად აშუქებს ეანა დნარკის ცხოვრებას, კიხერა ეანა დნარკის ისტორიაში ხედვას სოციალურის ტრადიციას. საფრანგეთის მარშალი ჟოლ დე რუ, გატაცებულია გმირი ქალწულით, მისი დახმარებით და აბკი იმარჯვებს

გვერდის სიგრძეზე. ეანა უარყოფს მარშალის სიყვარულს. მარშალი შურს იძიებს. მისი ყალბი ცნობების თანახმად ეანას სიკვდილს უწყვეტენ. თვით ეოლ დე რუ კოკონზე იღუპება: მას პასუხისმგებლობა აძლევენ სამარცხენო საქციელისათვის ქალების მიმართ, რომლებზედაც ის შურს იძიებს ეანას მიერ უარყოფილ სიყვარულისთვის.

ეს პიესა პირველად დაიდგა ლიუბკოვის ძველ თეატრში 1923 წ. იენისში და ვერ დასტრავა დამამყოფილებელი შთაბეჭდილება.

მუსიკა.

ვიქტორ დლიძე ამჟამად მოსკოვში მოღვაწეობს აწარმოებს ოპერა ზიმინას ღირვეკიასთან „ქეთო და კოტეს“ და „ლეილას“ დადგმის შესახებ რუსულ საოპერო სცენაზე.

მარიტონი დლიძე, რომელიც წარსულ სეზონში ტუილ. სახელ. ოპერაში მღეროდა, მღერის პეტროგრადის ყოფილ მიხაელის თეატრში.

გუსტავ ბრებერი, განთქმული გერმანელი დირიჟორი, დანიშნულია ლიუბკოვის საქალაქო ოპერის მთავარ დირიჟორად.

გუსტავ ბალდერის სიმონიების ციკლ შუკვი დაიწყო ბერლინში კლუს პრინგსვიმის დირიჟორობით.

მიხეილ დაჩაილი (მ. ნანობაშვილი), სახელგანთქმული მომღერალი, პარიზიდან მიუწყვევით ესპანეთის ღედა-ქალაქ მადრიდის ოპერაში.

ირაკლი ორბელიანი, ახალგაზრდა ნიქიერი პიანისტი, ბერლინიდან საკონცერტო გამგზავრებული პარიზს.

გზაბმარშა.

ნენო რუსი მხატვარი პავლე კუზნეცოვმა მოაწყო თავის სურათების გამოთენა პარიზში ბარბაზანეთის გალერეაში.

ნიკ. რეიზიზი, რუსი მხატვარი, ამერიკიდან ინდიოეთს გაემგზავრა სპირიტუალ საქმეების გამო.

ქიწმ.

ტომას მანი, განთქმული გერმანელი მწერალი სწერს „ტრისტიან და იზოლდს“ სცენარის ეტნი-ფილმისათვის.

სხვადასხვა.

გლეხთა კომიტეტები, სოც. უზრუნველყოფის კომისიარატის თაოსნობით, თან და თან კავშირდებიან და კულტურულ საქმიანობის სურვილს იჩენენ.

ამას წინად სენაკის მაზრის გლეხთა კომიტეტების კონფერენციაზე გამოითქვა აზრი და მაზრის საურთიერიო დამხმარე გლეხთა კომიტეტს დაევაკა ქ. სენაკში მოაწყოს გლეხთა სახლი, რომელშიაც შეეძლოს მიიღოს სოფლებიდან ჩამოსულმა გლეხობამ სულციერი სახლოც. ამ მოწყობილი იქნება წიგნთსაცავ-სამკითხველო, ლექციები და სხ.

რედაქციისაგან: ამ ნომრისთვის ბევრი მომხმადებელი მასალა გადაიღო.

რედაქტორი: იოსებ იმედაშვილი.

გამომცემელი: იმში დავითიძე

შრომის არტელი „ახალი წიგნი“

წიგნების გამომცემელი ამხანაგობა

„სოციალისტი“-ს

წიგნის მაღაზია

იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო წიგნები, ახალი და ნახვარი ქართულსა და რუსულ ენაზე.
მისამართი: ვიორგევის ქუჩა № 5. დარაბა № 1113.

ს ა ს ტ უ მ რ ო „ნოე“-სთან

მოწოდებენ სრულად ახალ გლიდრულ და მოკრულ

სასადილო-რესტორანის „ნოე“

საუკეთესო სამზარეულო თვატრით.

რომელიც გაიხიან 31 დეკემბრამდე

მოწვეული არიან გამოჩენილი აკტივისტები და სამზარეულო კადავნი.

პლუზანოვის პრ. № 103.

პატივისცემით ნ. ხიზარულიძე.

გვერდი **ა. პიკელნი** გვერდი

რუსთა. პრესა № 12

სეზონის უკანასკნელ მოდით

პარიზის და ლონდონის

ქურნალების მიხედვით სრულდება დაკვეთა მხატვრულის გემოვნებით. იქვე მიიღება ყოველგვარი
სამუშაო

გაწვეულებით ნიშნდება.

ოფიცი დავსრულთა ურომის არტელ
„ახალ წრესთან“

არსებული საგანმანათლებლო სექცია

„კულტურა“

ამით აცხადებს მკითხველი საზოგადოების,

მოწათფეთა მშობლებს და სტუდენტების
საუურბდლებო,

რომ მას მოეპოება ყოველგვარი სახელმძღვანელო საშუალო და უმაღლეს
სასწავლებელთათვის და პოლიტიკური და სიტყვა-კაზმული ლიტერატურა.

გითუგათ გყიდვალავს წიგნავი გინავთავი პრუს. დავკლავი თ.

მსურველთ წიგნები დავთმობა შელავითავი პირობებში—ნაწილ-ნაწილ დავთქმულ ვადებში
ფულის ვადახდით. დავწვრილობით პირობების ვაცნობა შევიძლება სექციის ბინაზე.

ავგე იყიდება

„თავსავი დავ სსოვრავი“—ს

ყველ ნომრები დავ მიიღება ხელის მოწერა.

მიხამართ: თავისუფლების (ერეენის) მოედანი, ქარვასლაში, მეორე სართული.

რეპორანი
„მცხეთა“

(ლენინისა დავ ყორღანოვის ქ. კუთხე, № 5, ზემელის აფთიაქის ქვეშ)
სადილი (2 საათიდან), ვახშავი (ღამის 12 საათამდე)

ევროპული დავ ჩვენებური

სასივი, სარეო, ლოვი.

სანოვავე ახალ-ახალი.

ფასავი ხალმისაწვადანი.

ყოველ დღე სიმებიანი
ორკეტარი.

პატივისცემით სერგო კახეთელიძე.